**პლანეტა დედამიწა**

**ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი „პატარა უფლისწული“**

*ამ ამბის ავტორი მფრინავი იყო. ის კატასტროფის შედეგად უდაბნოში აღმოჩნდა. იქ იგი პატარა უფლისწულს შეხვდა, რომელიც უცხო პლანეტიდან ესტუმრა დედამიწას. მანამდე მან სხვა პლანეტებიც მოინახულა.*

მეშვიდე პლანეტა, რომელსაც პატარა უფლისწული ეწვია, დედამიწა იყო. დედამიწა უბრალო პლანეტა არ გეგონოთ! ამ პლანეტაზე ას თერთმეტი მეფეა (მათ შორის არიან, რა თქმა უნდა, ზანგი მეფეებიც), შვიდი ათასი გეოგრაფი, ცხრა ათასი საქმოსანი, შვიდი მილიონ ხუთასი ლოთი და სამას თერთმეტი მილიონი პატივმოყვარე – ესე იგი, სულ დაახლოებით ორ მილიარდამდე ადამიანი.

დედამიწის სიდიდე რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ, უნდა იცოდეთ, რომ სანამ ელექტრონს აღმოაჩენდნენ, ექვსივე კონტინენტზე მეფარნეთა მთელი არმია არსებობდა, რომელიც ოთხას სამოცდაორი ათას ხუთას თერთმეტი კაცისაგან შედგებოდა.

შორიდან ის დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა: არმიის მოძრაობა საბალეტო დასის მოძრაობასავით მწყობრი იყო. პირველად სცენაზე ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მეფარნეები გამოდიოდნენ, აანთებდნან თავიანთ ფარნებს და დასაძინებლად მიდიოდნენ. შემდეგ გამოდიოდნენ ჩინეთისა და ციმბირის მეფარნეები, ჩამოუვლიდნენ წრეს და კულისებში გაიკრიფებოდნენ. მათ შემდეგ

დგებოდა რუსეთის და ინდოეთის მეფარნეთა რიგი. ამათ მოჰყვებოდნენ აფრიკისა და ევროპის, შემდეგ სამხრეთ ამერიკის, მერე კი ჩრდილოეთ ამერიკის მეფარნეები. და არც ერთს არ ეშლებოდა, როდის უნდა გამოსულიყო სცენაზე. მართლაც შთამბეჭდავი სანახაობა იყო!

მხოლოდ ორი მათგანი იყო არხეინად _ ის, რომელსაც ჩრდილოეთ პოლუსის ერთადერთი ფარანი უნდა აენთო და მისი სამხრეთპოლუსელი კოლეგა. მათ წელიწადში მხოლოდ ორჯერ უნდა შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა.